საქართველოს მთავრობის
დადგენილება

N 239 2025 წლის 1 ივლისი ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის ვადისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის №59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის ვადისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის №59 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 04/02/2011, 040030000.10.003.016219) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის ვადისა და საფასურის“ მე-2 მუხლის ცხრილს 13^1 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 13^2-13^3 პუნქტები:

„13².	ცხოველის განმეორებითი იდენტიფიკაცია		
ა)	სააგენტოს მიერ:		
	ა.ა) მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია საყურე ნიშნის/სხვა საიდენტიფიკაციო საშუალებით	1 სული	5.20 ლარი
	ა.ბ) წვრილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია:		
	ა.ბ.ა) ელექტრონული საშუალებით	1 სული	5.10 ლარი
	ა.ბ.ბ) საყურე ნიშნის/სხვა საიდენტიფიკაციო საშუალებით	1 სული	2.30 ლარი
ბ)	ბიზნესოპერატორისთვის საყურე ნიშნის გადაცემით	1 ცალი საყურე ნიშანი	საყურე ნიშნის შესყიდვის ღირებულება
13³.	საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საშიში ინფექციური დაავადებების, ეპიდემიების, ეპიზოოტიების გავრცელების გამო არაკეთილსაიმედო ქვეყნების ნუსხაში არსებული ქვეყნების საწარმოში წინა საიმპორტო ვეტერინარულ-ინსპექტორული კონტროლის განხორციელება ადგილზე ან დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით	სომხეთი, აზერბაიჯანი	2000 აშშ დოლარი
		რუსეთი, აღმოსავლეთ ევროპა, დასავლეთ ევროპა	3000 აშშ დოლარი
		აზია	8000 აშშ დოლარი
		ჩრდილოეთ აფრიკა	5000 აშშ დოლარი
		სამხრეთ აფრიკა	6000 აშშ დოლარი

		ჩრდილოეთ ამერიკა, სამხრეთ ამერიკა	8000 აშშ დოლარი.“.

მუხლი 2. დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის ვადისა და საფასურის“ მე-2 მუხლის:

1. 13^2 პუნქტი ამოქმედდეს 2025 წლის 10 ივლისიდან.

2. 13^3 პუნქტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2025 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

3. 13^3 პუნქტი ძალაშია 2025 წლის 1 სექტემბრამდე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**